პროლეტარებო მეგლა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტის და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. დ. მატრ. დეპ. სად.

ცაკის ორგანო

რედაქცია ტფილისი, რუსთველის პრ. № 24, მეორე სართული. რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-შაბათ დღეებისა 2-დან 3 საათამდე. ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—53.

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთველის პრ. № 24 ტელეფონი 10—49. ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მეზობელთათვის—1 მან. 60 კ. ტელეტ. ხელის მოწ 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ხერხონეგბით ნომპარფლის სტრიქონი. სამეცნიერო-ანალ განცხადება 5 მან. ჩვენ განცხადებები მოთრიგ ნომერში მიიღება მხოლოდ ორ საათ.

დღიური

რუმინეთში პოლიციამ დაიწყო კომუნისტების ხელახლა დევნა.

მაკდონალდის მთავრობა აშენებს 5 ხიმინდრიონ ... პარლამენტში გამოიწვია კამათი და მთავრობის — პოლიტიკის თავდასხმა.

გერმანიის რეიხსტაგის დაუყოვნებლივ დათხოვნას მოითხოვენ კომუნისტები, ტეგეტონური პარტია და ნაციონალისტები.

ბერლინის წიაკვლის მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა.

ხოფიაში ბულგარეთი) აღმოაჩინეს მთავრობის ხაფინანსმდგომ შეთქმულება.

№ 47 (902) ოთხშაბათი, 27 თებერვალი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცეგით. № 47 (50)

ცაკის მეორე სესია

გუშინწინ, საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავზე, გაიხსნა ჩვენი ცაკის მეორე სესია.

სესიის დღის წესრიგში მრავალი საყურადღებო საკითხია დასმული.

დღეს ჩვენ შეეჩერდებით ზოგიერთ მათგანზე.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია მიწისა და სატყეო კოდექსის პროექტები, რომელნიც წარდგენილი არიან სესიაზე დასამტკიცებლად.

ამ პროექტებს ჩვენი მკითხველი უკვე გაცნობილია, ისინი თავის დროზე გამოქვეყნებული იყვნენ.

მიწის კოდექსი ფორმალურად აყალიბებს საბჭოთა აგრარულ რევოლიუციის მიღწევებს.

მთელი მიწა სახელმწიფოს კუთვნილებას შეადგენს, და ის გადაეცემული აქვს სასარგებლოდ მშრომელ მეურნეს, მიწის მუშა-გლეხს, ან დასაშუშვებლად და მოსახმარად საანალო სახელმწიფოებრივ ორგანოს და საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

კოდექსი მკაფიოდ განსაზღვრავს მიწაზე არსებულ უფლება-მოვალეობას, და ამით ბოლოს ულებს ყოველგვარ გაუგებრობას, რომლებსაც აქამდე ჰქონდათ ადგილი აგრარული რეფორმის ხანებში.

ეს გარემოება გახდება სასოფლო-მეურნეობის აღორძინების ერთ-ერთ წამახალისებელ ფაქტორად.

აგრეთვე მნიშვნელოვანია ტყის კოდექსის პროექტის მიღება.

ჩვენი ქვეყანა მდიდარია ტყეებით. მაგრამ მათ ესაჭიროებათ დაცვა მიზანშეწონილი მოვლა-პატრონობა და გეგმიანი ექსპლოატაცია. ტყის უთავბოლოდ გაჩეხვა, რასაც წინედ ჰქონდა ადგილი და ნაწილობრივ ეხლაც შეიმჩნევთ აქა-იქ, დიდ საფრთხეს განუმზადებს ჩვენს ეკონომიკას და საერთოდ ხალხის კეთილდღეობას.

ტყის კოდექსი მთელ სატყეო მეურნეობას გარკვეულ კალაპოტში აყენებს, რაც დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის ამ ძვირფასი სიმდიდრის ოგეანად დაცვა-გაშენებას და გამოყენებას.

სასოფლო მეურნეობის აღორძინება-განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული აგრონომიულ დახმარების საკითხის წარმატებით გადაჭრასთან.

ყველამ ვიცით, რომ ჩვენი სასოფლო მეურნეობა ჩამორჩენილია. ჩვენი გლეხისათვის უცნობია მიწის დამუშავების და განაყოფიერების უკანასკნელი ტეხნიკური მიღწევები და საშუალებანი. ამის გამო მისი ჭაბანწყვეტა, მიწაში ჩაღვრილი ოფლი ვერ იძლევა შესაფერ ნაყოფს.

აგრარულ რეფორმის შემდეგ, ობიექტიურ შესაძლებლობის ფარგლებში გლეხობის მიწით დაკმაყოფილების შემდეგ, პირველ საკითხად დგას მიწათმოწყობა და გლეხისათვის აგრარულ დახმარების აღმოჩენა.

აქ ჩვენ ვგულისხმობთ მიწის მორწყვას, ჭაობების ამოშრობას, მდინარეების ნაპირების გამაგრებას, სასოფლო სამეურნეო იარაღების და შერჩეულ სათესლე მასალების მიწოდებას მეურნეთათვის, აგრონომიულ ცოდნის გავრცელებას ხალხში, და მრავალი სხვა.

ამ დარგში მუშაობის ასპარეზი თვალუწვდენელია. ამისათვის საჭიროა დიდი მატერიალური საშუალებანი და მომზადებული ძალებიც. როგორც ცენტრალურმა, ისე ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამ საქმის უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება. უდიდესი მნიშვნელობა აქვს თვით გლეხების შეკავშირებას, მათი თვითმოქმედების გაღვიძებას თავიანთი მეურნეობის განსავითარებლად. აგრონომიულ დახმარების სფეროში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია კერძოდ აგრონომს, თუ ის იდგომება თავის დანიშნულების სიმაღლეზე და იქნება გამსჭვალული დაკისრებული მოვალეობის შეგნებით და ხალხისადმი სიყვარულით.

აგრონომიულ დახმარების ფართედ მოწყობას აქვს გადამჭრელი მნიშვნელობა ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის, გლეხობის კეთილდღეობისათვის.

ეს საკითხი დგას მიმდინარე სესიის დღის წესრიგში, და მან უნდა ჰპოვოს შესაფერი გადაჭრა.

არა მცირედი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი ბიუჯეტის საკითხს, რომელიც აგრეთვე მიიპყრობს სესიის ყურადღებას.

ცენტრიდან მოხსნა ზოგიერთი ხარჯების, მათი დაკისრება ადგილებზე, უკანასკნელებისათვის ერთგვარი საგადასახადო უფლებების მინიჭება, — ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს მეტ აქტივობას და ინტერესს გამოაჩენიან ფინანსიურ საშუალებათა გამოძებნის საქმეში, მეორე მხრივ შეკვეცას მათ, არსებულ რესურსებთან შეუფარდებელ გეგმებს.

ამასთან ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას: ადგილობრივი ბიუჯეტის საკითხის საქმეში სასტიკად უნდა იქნას განსაზღვრული ადგილობრივ ორგანოების უფლებები, რათა ადგილი არ ექნეს ამ დარგში გადაჭარბებას, თვითნებურ „საგადასახადო შემოქმედებას“, რის ნიმუშები არა ერთხელ ყოფილა გამოქვეყნებული პრესაში.

ყველა ამ საკითხების შესახებ ცაკის სესია მიიღებს შესაფერ დადგენილებებს, გამოიტანს სახელმძღვანელო დირექტივებს, რაც მეტ გარკვეულობას შეიტანს ჩვენს ადმშენებლობითი მუშაობაში და წინ წასწევს მას.

ინგლისის მთავრობა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები

(მაკდონალდის განცხადება)

ლონდონი. 26 თებერვალი. შეკითხვაზე: რომელ ტერიტორიაზე ვრცელდება საბჭოთა კავშირის ძალაუფლება, მაკდონალდმა პარლამენტში განაცხადა: ინგლისის მთავრობა აღიარებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ვრცელდება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებზეც.

უკანასკნელი იმედის გაქარწყლება

ჩვენ ვლაპარაკობთ, რასაკვირველია, იმ იმედზე, რომელიც ბეუტავდა ჩვენი კონტრ-რევოლიუციონერების დამსხვრეულ გულში. მას აქეთ, რაც რეაქცია დამარცხდა ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში, მისი ნამტვრევები კიდევ იმ ტკბილი ოცნებით იბრუნებდენ სულს, რომ აი გავახსენდებით ვიღაცას, მოგვიგონებენ, საზღვარგარეთ გაქცეულები შეეცდებიან, რომ ევროპის სახელმწიფოებმა სთქვან დაბოლოს რაიმე სიტყვა ჩვენი „დემოკრატიის“ შესახებო.

მას შემდეგ, რაც ეგრედ წოდებული მუშათა მთავრობა მოექცა სათავეში ინგლისს, ის მუშათა მთავრობა, რომლის ზოგიერთი წარმომადგენლები, მეორე ინტერნაციონალის ბელადები, ესტუმრენ მენშევიკებს და მეგობრული კავშირი ჰქონდათ მათთან—ამის შემდეგ ეს იმედი უფრო გაბრუყვიალდა და მოლოდინის მკრთალი გამომეტყველება აღიბეჭდა ზოგიერთის სახეზე. მაგრამ „მუხთალმა ბედმა“ აქაც უმტყუნა ჩვენებურ კონტრ-რევოლიუციონერებს, მენშევიკებს და მომენშევიკო ვაეგბატონებს, რომლებიც ჯერ კიდევ ტკბებიან ჩვენ მიწაწყალს და აქა-იქ ბნელ კუთხეებში ჩურჩულებენ. ისინი მოელოდენ და... კიდევაც მიიღეს. ზემოთ დაბეჭდილი რადიო-ტელეგრამა არის მათი პასუხი.

ეკვს გარეშეა, დეპუტატი, რომელიც შეეკითხა მაკდონალდს ინგლისის პარლამენტში, დაინტერესებულია ან პირადათ რაიმე საქმეებით ამიერ-კავკასიაში, ის, ასე ვსთქვათ, ან ერთი ნატეხია ლესლი ურკარტის ან და არის მეგობრულ განწყობილებაში მენშევიკური ემიგრაციის მეთაურებთან უცხოეთში. ჩვენთვის სულ ერთია, რომელიც არ უნდა იყოს მართალი ამ ორი შესაძლებლობიდან. არსებითია აქ ის პასუხი, რომელიც მიიღო მან ინგლისის მთავრობის თავმჯდომარესაგან პარლამენტში. ეს პასუხი სრულიად გამომდინარეობს იმ ურთიერთობიდან, რომელიც დამყარდა საბჭოთა კავშირისა და დიდ ბრიტანეთს შორის ამ უკანასკნელის მიერ კავშირის იურიდიულად ცნობის შემდეგ. ეს ცხადი იყო წინეთაც, უფრო ცხადი იქნება ამის შემდეგ მათთვის, ვინც ძალათი დაბრმავებული ან დაყრუებული იყვნენ ან თავიანთ ოცნების სინამდვილეთ ასლებდენ.

ეს უკანასკნელი მუჯლუგუნი ბედის ასწავლის დაბოლოს ჭაუას მათ, ვისაც ამის შეძლება კიდევ შესწევდა. გაუსწორებელი კი საფლავი გაასწორებს...

ინგლისი

ინგლისის საბჭოთა ოფიციალური რწმუნებული საბჭოთა კავშირში.

მოსკოვი. 26 თებერვალი. ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებულმა ხოჯსონმა გადასცა აშბ. ჩიჩერინს ნოტა, რომელიც ადასტურებს მის დანიშვნას საქმეთა რწმუნებულად საბჭოთა კავშირის მთავრობასთან.

ინგლის-რუსეთის მოლაპარაკება.

ბერლინი. 24 თებერვალი. ინგლისის პრესის ცნობების თანახმად, ინგლის-რუსეთის მოლაპარაკება დაიწყება 25 მარტს.

ინგლის-რუსეთის კოალიცია.

ლონდონი. 24 თებ. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ ინგლის-რუსეთის კოალიციის ბრიტანეთის დელეგაცია იმუშავებს შინაგან საქმეთა მინისტრის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ და გარეშე საქმეთა მინისტრის ამბანაგის—პონსენბის მონაწილეობით. კომისია დაყოფილი იქნება პოლიტიკურ და ეკონომიურ სექციებად.

ჩინეთი

ინგლისი მიიხედავს საბჭოთა კავშირის ცნობისაკენ.

რომი. 26 თებერ. პეკინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ჩინეთის პარლამენტის 40 დეპუტატმა წინადადება შეიტანეს საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივი ცნობის შესახებ.

პოლონეთი.

პოლონეთის საგანგებო რწმუნებული მოსკოვში.

ვარშავა. 24 თებერვალი. მოსკოვში ჩამოვიდა პოლონეთის პირველი საგანგებო რწმუნებული და სრულუფლებიანი მინისტრი საბჭოთა კავშირის მთავრობასთან—ლიუდვიგ დაროვსკი.

ჩხრეთ-სლოვაკია.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სიდიადეა.

პრაგა. 24 თებერვალი. პრაგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის დეკანი გომშა ნაციონალ-სოციალისტურ ორგანო „ჩეხიის სიტ-

რადიო-ტელეგრამები

(„ზაკრასტა“-ს ცნობები)

ვინ იქნება შემდეგი?

ავსტრიამ იურიდიულად იცნო საბჭოთა კავშირი

კრემლის დიდ დარბაზში იტალიის ელჩმა გრაფმა მონტაგნამ ამბ. კალინინს ჩააბარა რწმუნების სიგელი.

მოსკოვში ჩამოვიდა პოლონეთის საგანგებო ელჩი და სრულუფლებიანი მინისტრი.

ბრიტანეთის ელჩმა ხოჯსონმა ჩააბარა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს რწმუნების სიგელი.

ამერიკის ყოფილმა სენატორმა ფრენსმა განაცხადა, რომ ამერიკის სავაჭრო წრეები ძლიერ დაინტერესებულნი არიან საბჭოთა კავშირის ცნობით.

ავსტრიამ იცნო საბჭოთა კავშირი

მოსკოვი. 26 თებერვალი. ავსტრიის მთავრობის წარმომადგენელმა პოლმა გადასცა გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატს ამბ. ლიტვინოვს ნოტა ავსტრიისა და საბჭოთა კავშირის შორის ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობის აღდგენის შესახებ. ავსტრიის მთავრობა გამოსთქვამს სურვილს, რათა ახლო მომავალში ვენაში შედგენილ იქნას საბჭოთა კავშირის დიპლომატიური მისია და დაიწყოს მოლაპარაკება ავსტრია-რუსეთის ხელშეკრულების ზოგიერთ მუხლების შესაცვლელად ორივე სახელმწიფოს შორის ფულეურ ურთიერთობის შეცვლის გამო.

საგანგებო ელჩად და ავსტრიის სრულუფლებიან მინისტრად საბჭოთა კავშირთან დანიშნულია პოლი.

ბულგარეთი

ბულგარეთის ოფიციალური რწმუნებული საბჭოთა კავშირში.

მოსკოვი. 26 თებერვალი. ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებულმა ხოჯსონმა გადასცა ამბ. ჩიჩერინს ნოტა, რომელიც ადასტურებს მის დანიშვნას საქმეთა რწმუნებულად საბჭოთა კავშირის მთავრობასთან.

ინგლის-რუსეთის მოლაპარაკება.

ბერლინი. 24 თებერვალი. ინგლისის პრესის ცნობების თანახმად, ინგლის-რუსეთის მოლაპარაკება დაიწყება 25 მარტს.

ინგლის-რუსეთის კოალიცია.

ლონდონი. 24 თებ. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ ინგლის-რუსეთის კომისიის ბრიტანეთის დელეგაცია იმუშავებს შინაგან საქმეთა მინისტრის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ და გარეშე საქმეთა მინისტრის ამბანაგის—პონსენბის მონაწილეობით. კომისია დაყოფილი იქნება პოლიტიკურ და ეკონომიურ სექციებად.

ჩინეთი

ინგლისი მიიხედავს საბჭოთა კავშირის ცნობისაკენ.

რომი. 26 თებერ. პეკინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ჩინეთის პარლამენტის 40 დეპუტატმა წინადადება შეიტანეს საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივი ცნობის შესახებ.

პოლონეთი.

პოლონეთის საგანგებო რწმუნებული მოსკოვში.

ვარშავა. 24 თებერვალი. მოსკოვში ჩამოვიდა პოლონეთის პირველი საგანგებო რწმუნებული და სრულუფლებიანი მინისტრი საბჭოთა კავშირის მთავრობასთან—ლიუდვიგ დაროვსკი.

ჩეხ-სლოვაკია.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სიდიადეა.

პრაგა. 24 თებერვალი. პრაგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის დეკანი გომშა ნაციონალ-სოციალისტურ ორგანო „ჩეხიის სიტ-

„ეროვნული ალიანსი“ ... ...

ბულგარეთ-ბერლინ-ბუქარეტ-ბელგრადის ... ...

**

ამხ. რიკოვი ჩამოვა კავკასიაში

მოსკოვი. 26 თებერვალი. მთავრობის ცნობით, საბჭოთა კავშირის და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. რიკოვი განკურნების შემდეგ მიემგზავრება კავკასიაში რამდენიმე ხნით დასასვენებლათ.

ნეფისადმი ნდობაზე, რასაც მე ჩავსთვლი ჩემს მთავარ ამოცანად"-ო, დაამთავრა პოლმა.

რწმუნების ბარათების ჩაბარება.

მოსკოვი. 26 თებერ. დღეს კრემლის დიდ სასახლეში მოხდა რწმუნების ბარათების საზეიმო გადაცემა საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარე ამხ. კალინინისათვის იტალიის ახალ ელჩის გრაფ მანკონის მიერ.

ბარათის გადაცემის დროს იტალიის ელჩმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა ნორმალურ პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობის დამყარებით იწყება ახალი ხანა და ამ ურთიერთობას მომავალში მოჰყვება სასურველი შედეგები.

მდგომარეობა ინგლისში

ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ.

ლონდონი. 24 თებერ. თემთა პალატამ უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გადახდო 730,000 გირ. სტერ.

კრეიზერების აგება.

რომი. 24 თებერ. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, საზღვაო დეპარტამენტის სტატს-სეკრეტარმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ როგორც კი გადაწყვეტილი იქნება კრეზისი, რომელიც გამოწვეულია ნავთსადგურების მუშების გაფიცვით, **მთავრობა შეუდგება 5 კრეიხერის აგებას.**

მაკდონალდმა განაცხადა, რომ მხარეების წარმომადგენლებს შორის მიღწეულია შეთანხმება გაფიცვის შეწყვეტის შესახებ, რის გამო მთავრობამ გადასწყვეტა არ მიმართოს განსაკუთრებულ ზომებს, რომელთა მიღებას აპირებდა ის სურსათის განაწილების უზრუნველყოფისათვის.

დაწვრილებითი ცნობები 5 ახალი კრეიხერის აგების შესახებ.

ლონდონი. 24 თებერ. ბრიტანეთის გაზეთები იტყობინებიან, რომ 5 პატარა კრეისერი, რომელიც გაკეთებული იქნება დაძველებულ გემების შესაცვლელათ და იმ მიზნით, რომ სამუშაო მისცენ უმუშევრებს, შეიარაღებული იქნება 8 დიუმ. ზარბაზნებით.

კონტრაქტის ძალით კრეისერებს ააშენებენ გემების კერძო საამშენებლო ფირმები.

ფიქრობენ, რომ ამ გემების აშენებას მოუნდება 32,000 მუშა და შემთხვევით სამუშაოს იშოვის კიდევ 2,000 კაცი.

როგორც მაკდონალდის განცხადებიდან სჩანს, რომელიც გააკეთა

პოლონეთის ამბები

განსხვავებულება უკრაინის სეიმის კლუბში.

ვარშავა. 24 თებერვალი. უკრაინის სეიმის კლუბში მოხდა განხეთქილება, რომელიც დიდი ინტანი მოსალოდნელი იყო. უკრაინის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცეკას დადგენილების თანახმად, უკრაინის დეპუტატებმა მოხნიუკმა, პაშნუკმა, სკრიპამ, პრისტუპამ და ვოიტიუკმა გაილაშქრეს უკრაინის კლუბის წინააღმდეგ და დაარსეს უკრაინის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალი კლუბი. კლუბის თავმჯდომარეთ არჩეულია კოტიუკი

მოსკოვი და ამსტერდამი

სიტყვა და საქმე.

ბერლინი. 24 თებერ. რეიხერტმა მელითონელთა კონგრესზე გამოსთქვა მწუხარება მოსკოვსა და ამსტერდამს შორის შეუწყვეტელ ბრძოლის გამო, რაც ხელს უშლის ერთიანი ფრონტის შექმნას. სოციალისტი სიტყვაში კომუნისტმა გალეიმ ხაზი გაუსვა, რომ ამსტერდამი მხოლოდ რეზოლუციებს სწერს, მოსკოვი კი ყოველგვარ საშუალებით აწარმოებს ბრძოლას მუშათა კლასის საარსებო ინტერესებისათვის. ამსტერდამის რეფორმისტულ პოლიტიკას უნდა დაუპირდაპირდეს მოსკოვის რევოლიუციონური პოლიტიკა.

პრეზიდიუმის წინადადებას წესიდების შეცვლის შესახებ, მხარი არ დაუჭერია კონგრესის უმრავლესობამ, რაც ოპოზიციის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან წესდების შეცვლა მის წინააღმდეგ იყო მიმართული.

გერმანიის მელითონეთა ყრილობა

კამათი დისმანის მოხსენების გარშემო

ბერლინი. 24 თებერვალი. კომუნისტმა კეტერმა, რომელიც გამოვიდა სიტყვით დისმანის მოხსენების გამო, აღნიშნა, რომ **კომუნისტები მზად არიან იმუშაონ პროფკავშირებში სოციალ-დემოკრატებთან ერთად იმ პირობით, თუ უკანასკნელნი მიიღებენ კომუნისტების პლატფორმას. მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის სული იხსნის პროფკავშირებს დაშლისაგან და მიიყვანს მუშათა კლასს პროლეტარულ რევოლიუციამდე და პროლეტარულ დიქტატურამდე.**

სოციალ-დემოკრატმა გროსმანმა განაცხადა, რომ პროფკავშირები მხარს უჭერენ ერთიან ფრონტს, მაგრამ წინააღმდეგი არიან იმ ელემენტების, რომლებიც ანგრევენ პროფკავშირებს.

სოციალ-დემოკრატებმა შეიტანეს წინადადება, რომელიც კიცხავს ოპოზიციის და კრძალავს ოპოზიციის სიების წამოყენებას ფაბქარხკომების არჩევნების დროს და აგრეთვე ოპოზიციონურ ორგანიზაციების პროფკავშირების შიგნით.

კომუნისტებმა შეიტანეს წინადადება, რომელიც ხაზს უსვამენ, რომ **პროფკავშირების ხელმძღვანელების პოლიტიკამ არარად აქცია პროლეტარიატის ბრძოლა თავისი უფლებებისათვის და გადაიქცა პროფკავშირები პროლეტარიატის წინააღმდეგ მეშარეთულ იარაღად.**

კომუნისტები მოითხოვენ უნდობლობის გამოცხადებას პროფკავშირების ხელმძღვანელებისათვის და პროფკავშირთა სრულიად გერმანიის გაერთიანების პოლიტიკის გაკიცხვას, ვინაიდან გაერთიანება ცდილობს გამოიწვიოს განხეთქილება პროფკავშირებში.

სხვადასხვა

ნორვეგია

რედაქტორების დ-ჯარიმება.

ქრისტიანია. 24 თებერვალი. „არბეიტერ ბლადეტის" რედაქტორ ტრანდელს და „ნორეგეს კომუნისტ ბლადეტის" რ. დაქტორს შეეწოლა სასამართლომ მიუსაჯა დაჯარიმება 500 კრონით თვითეულს რკინისგზელთა შორის გაფიცვის სასარგებლოთ აგიტაციის წარმოებისათვის.

ბულგარეთი

მეამბოხეთა დევნა.

ვენა. 24 თებერვალი. ბულგარეთის პოლიტიკური პოლიციის უფროსის მოადგილე ბიჩევი ჩავიდა ბუქარესტში, მისი მიზანია შეიპყროს ის მემამბოხენი, რომელიც რუმინეთში გაიქცენ.

შეთქმულება მთავრობის წინააღმდეგ.

ვენა. 24 თებერვალი. სერბიის გაზეთები იტყობინებიან, რომ სოფიაში აღმოჩენილი იქმნა მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულება. ოპოზიციის მიერ მოწყობილ მიტინგის გარეკვის დროს მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება. მოკლულია 7 კაცი, დაჭრილია 15.

რეპარაციები

კომუნისტების დევნა.

ვენა. 24 თებერვალი. რუმინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ ბრიტანეთს განუცხადა პროტესტი კომუნისტების სისტემატიური დევნისა და მასიური დატუსაღების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, რუმინეთის „ოხრანკა"-მ მოახდინა კომუნისტების ახალი დატუსაღება. ციხეებში, დატუსაღებულ კომუნისტებს სასტიკად ეჯარებიან. შივალოს ციხეში კომუნისტური პარტიის ბელადმა პაუკერმა, სასტიკი მოპყრობის გამო, მესამეჯერ სიმშილობა გამოაცხადა.

ვენა. 22 თებერვალი. რუმინეთის „ოხრანკა"-მ მოახდინა კომუნისტების ხელახალი მასიური დატუსაღება. რეაქციონური გაზეთი (გაზეთის სახელი დამახინჯებულია) მოითხოვს კომპარტიის კანონის გარეშე გამოცხადებას. გაზეთების ცნობებით, რუმინეთის მთავრობას განზრახვა აქვს გადაასახლოს რუმინეთიდან 13,000 უცხოელი მუშა, რომელნიც ხელს უწყობენ კომუნისტური მოძრაობის გაძლიერებას ქვეყანაში.

III-ე ინტერნაციონალის აღმასკომის პლენუმის პროტესტი.

ვენა. 24 თებ. III-2 ინტერნაციონალის აღმასკომის პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც პროტესტს აცხადებს თეორი ტერორის წინააღმდეგ უნგრეთში, და დაადგინა გაგზავნოს დელეგატებათ ბალკანეთის სოციალისტურ პარტიების კონფერენციაზე, რომელიც შესდგება 11 მარტს ბუქარესტში, აღლერი და წერეთელი, რომლებმაც უნდა გამოარკვიონ ბულგარეთის სოციალისტური პარტიის პოლიტიკა.

ესპანეთი

ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად ბატონობაში მოსაფიდელოების მიღებისათვის.

ნიუ-იორკი. 25 თებერვალი. ლიუდვიგ ლორეტანტენბერგი და სხვები, რომელნიც დატუსაღებულნი იქნენ 1 თებერვალს ლენინის ხსოვნის აღსანიშნავ მიტინგზე, დაჯარიმებულნი არიან 20 დოლარით თვითეულდ; ჯარიმის გადახდის შემდეგ იმნი გაანთავისუფლეს.

იტალია

იტალია და საბჭოთა-ხელოვნა

რომი. 25 თებერვალი. ფაშისტი ანეკდოტის გამოცხადება მოხდება 2 მარტს იტალიის მეფის თანადასწრებით.

სტუდენტების დემონსტრაცია მთავრობის წინააღმდეგ.

რომი. 25 თებერვალი. ესპანეთის დირექტორიამ, მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციების გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა მადრიდის უნივერსიტეტში, გადასწყვიტა დახუროს უნივერსიტეტი და გადაასახლოს პროფესორები და სოციალისტი—სტუდენტები.

კომინტერნი

წითელი არმია ემსახურება საერთაშორისო რევოლიუციას

მოსკოვი. 23 თებერვალი. კომინტერნის აღმასკომის მოწოდება, რომელიც უფლებას აძლევს წითელარმიელებს და წითელ კომანდირებს წითელი არმიის 6 წლის თავს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წითელი არმია, რომელიც ცოცხალ რუსეთის მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას კონტრ-რევოლიუციისგან, ამავე დროს ემსახურებოდა საერთაშორისო რევოლიუციის საქმეს. მისი გამარჯვება იყო ლაბორატორის ჩაცემა საერთაშორისო იმპერიალიზმისათვის. წითელი არმიის ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა; უკანასკნელი ყოველ წუთში მზად უნდა იყოს საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

საფრანგეთი

გაფიცვის მიმდინარეობა.

პარიზი. 24 თებერ. კონფლიქტი მწარმოებლებსა და მუშებს შორის საავტომობილო ქარხნებში „სიტროენ" გრძელდება. **მუშებმა დიდი ნაწილი დაითხოვეს.** გაფიცულები სამეტრეტის განკარგულებებს და ეწერებიან მელითონელთა უნიტარულ კავშირებში.

ფეხსაცმელების 34 სახელოსნო დახურულია მუშებისათვის შრომის ხელფასის გადიდებაზე.

ნორვეგია

54,000 გაფიცული.

ქრისტიანია. 24 თებერ. ლოკაუტი ვრცელდება მრეწველობის მთელ რიგ დარგებზე. ლოკაუტში მოქცეულია სულ 35,000 მუშა. ქაღალდის მრეწველობის მუშებმა სოლიდარობის ნიშნათ გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცულ ტ დათხოვნილ მუშათა საერთო რიცხვი უღრის 54,000 კაცს.

წითელ რუსეთში

რუსეთი

ამინდი საბჭოთა კავშირში.

მოსკოვი. 24 თებერვალი. ამინდის საოლქო ბიუროს ცნობების მიხედვით, საბჭოთა კავშირის მეტ ნაწილში გასულ კვირას იყო ძლიერი ქარბუქი, რომელიც აიხსნება ფართე პოლიარული ანტიციკლონთან; უკანასკნელი ნელა მიემართებოდა სამხრეთ-დასავლეთით რუსეთის აღმოსავლეთ-ნაწილიდან. ქარბუქი მიემართებოდა სამხრეთ ურალით, ორენბურგის და ურალის ველებით. ორშაბათს უკრაინის მარჯვენა მხარეზე დაიწყო ქარიშხალი; სამშაბათს ქარიშხალი მოედო დნეპრის მთელ აუზს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს ცენტრალურ გუბერნიებს. კვირის მოლოს, ცოტა ხნის შესვენების შემდეგ, უკრაინაში და რუსეთის ჩრდილოეთ ნაწილში ნელა ... ქარბუქი. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ რუსეთის ნაწილში ყინვები აღწევ... 11 გრადუსს, ურალზე 30 გრადუსამდე აღწევ... და სამხრეთ აღმოსავლეთ... ... ჩრდილოეთ კავკასიაში-1... ... ...

ᲤᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ 6 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ

ᲤᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ 6 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

მოსკოვი. 26 თებერვალი. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, **რომ წითელი არმიის 6 წლის თავი ყველგან დიდის ზეიმით იქნა ჩატარებული.** დღესასწაული მიდიოდა წითელარმიელების მუშებთან და გლეხებთან დაკავშირების ნიშნის ქვეშ. მრავალ ქალაქებში დღესასწაულის დღისთვის მახლობელ სოფლებიდან ჩამოვიდენ გლეხების წარმომადგენლები. ამ დღეს მოხდა იმ წითელარმიელთა საზეიმო გამოშვება, რო-

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲒᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

მოსკოვი. 26 თებ. 24 თებერვალს კავშირების სახლში **მოსკოვის მუშების მუშა ქალებმა და წითელარმიელებმა დიდის ზეიმით იდღესასწაულეს წითელი არმიის 6 წლის თავი.** სხდომა გახსნა მთავარსარდალმა ამხ. კამენევმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ყველაზე უფრო მძიმე და საშინელ დღეებში წითელი არმიის რიგებში ყოველთვის შედიოდენ მუშების და კომუნისტების კადრები, რომელნიც აწხნევებდენ და ამტკიცებდენ წითელ არმიას. ამ ჟამად წითელი არმიისათვის დადგა ნორმალური განვითარების პერიოდი. მშრომელთა ფართო დახმარებით, ჩვენ გადავეფდით ტერიტორიალურ ნაწილების სისტემაზე.

წითელ ცხენოსან ჯარს აქვს დიდი მომავალი და მას შეუძლია მაგალითი იყოს ჩვენი მტრებისთვისაც კი.

წითელ ხაბარო ფლოტს უნდა მიეცეს განსაკუთრებული ყურადღება. საბჭოო ფლოტის მეგობართა ხაზოგადოება აშენებს თვითმფრინავ ავბარატს და ამჟამ მომავალში ის დაამთავრებს ლენინის სახელობის თვითმფრინავთა ესკადრილიის აშენებას.

ამხ. ლოზოვსკიმ, აღნიშნა რა საბჭოთა კავშირის მასიური ცნობა კაპიტალისტურ სახელმწიფოების მიერ, სთქვა, რომ საერთაშორისო უფლება ფაქტიურათ განისაზღვრება ჰაეროპლანების რაოდენობით და ზარბაზნების დიამეტრით. ლონდონის კონფერენციაზე, სადაც გამოვლენ დიპლომატები, წარმოდგენილი იქნება წითელი არმიაც. ყველა ქვეყნის მუშები წითელ არმიაში ხედავენ თავის საკუთარ არმიას. წითელი არმიის გამარჯვება—ყველა მშრომელების გამარჯვებაა. კრემლმ მასსალმებელი დეპეშები გაუგზავნა რუსეთის კომპარტიის ცეკას, კომინტერნს და ტროიკას.

ახრულებენ ლენინის ანდერძს.

მოსკოვი. 26 თებერ. წითელი არმიის 6 წლის თავის დღეს მოსკოვში და პროვინციაში წითელარმიელთა ყაზარმებში შესდგა საზეიმო სხდომები. წაკითხული იყო მოხსენებები შემდეგ თემაზე: „წითელი არმიის 6 წლის აღმშენებლობა და ლენინი“. ზოგიერთ ფაბრიკებში და ქარხნებში გამართული იყო საზეიმო კრებები. მიღებულ რეზოლიუციებში წითელარმიელები აცხადებენ, რომ მათ ახსოვთ ის, რომ საბჭოთა კავშირი გარშემორტყმული კაპიტალისტურ სახელმწიფოებით და ამიტომ ისინი ყოველთვის მტკიცეთ დაიცავენ საბჭოთა კავშირის საზღვრებს. მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა ტროცკის, რიკოვს, კომინტერნს და სხვებს.

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ

ლენინგრადი. 26 თებერვალი. დღეს დიდ თეატრში შესდგა ლენინგრადის საგუბერნიო აღმასკომის და პარტიული პროფესიონალურ და წითელარმიელთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა, რომელიც მიძღვნილი იყო წითელი არმიის ექვსი წლის თავისათვის. სხდომა გახსნა ამხ. ზინოვიევის სიტყვა

პირველი სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ამხ. ზინოვიევს, რომელსაც მხურვალე ოვაციებით შეხვდენ.

„წითელი არმიის ექვსი წლის თავზე,—ამბობს ამხ. ზინოვიევი,—საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა იმდენად განმტკიცდა, რომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოგვეღის საერთაშორისო კეთილდღეობის გადაფასების საფრთხე. უმთავრესად, ეს, რასაკვირველია, არის უდიდესი დიპლომატიური გამარჯვება იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მრავალ ანხანაგებში იქმნება ისეთი ფსიქოლოგიური განწყობილება, თითქო ჩვენ შევაღწიეთ საბოლოო გამარჯვებას და შეგვიძლია ხელები გულზე დავიკრიფოთ.

ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, დროულია ცავი წყალის დასხმა იმათ თავზე გამოსაფხიზლებლათ, ვინც გადააფასა ცნობის ფაქტები.

საქმე ხომ ქალაქზე ცნობაში არ არის. საქმეა ძალთა რეალურ განწყობილებაში. არ უნდა მივცეთ თავი უსაზღვრო ოპტიმიზმს იმის გამო, რომ დიდი სახელმწიფოები გვცნობენ ჩვენ. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ სასოწარკვეთილებას არ ვიძლეოდით მაშინაც, როცა ჩვენ იფრიდიულათ არ გვცნობდენ.

ეს ათეული ხელშეკრულებები, რომლებიც არსებობენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის, არ უშლის ხელს არც ერთ მათგანს სწვდენ ერთმანეთს ყელში და გამოუცხადონ ომი.

მით უფრო ნაკლები გარანტია აქვს ასეთ ცნობას საბჭოთა რესპუბლიკებისათვის. საბჭოთა რასპუბლიკას ყველაზე ნაკლებ ერიდებიან. ამის საბუთს იძლევა ინგლისის მრეწველთა ფედერაციის დღევანდელი გამოსვლა, ისინი ძველ მოტივს იმეორებენ: ვალების გადახდა, ზარალის ანაზღაურება, რის ნაცვლად გვპირდებიან ნდობის ატმოსფერას.

კაპიტალიზმის მტაცებლები ჯერ კიდევ არ დამშვიდებულან და აპირებენ ჩვენთვის ანგარიშის წარმოდგენას, იმგვარის, რომლის საშუალებითაც ვერსალში თოკი წაუჭირეს ყელში გერმანიას და ალრჩობენ.

მაგრამ ჩვენ ხომ უდიდესი რეფორმიცია მოვახდინეთ. რისთვის ვიბრძოდით ათეულ ფრონტებზე იმისათვის, რომ არ გვინდოდა გავმხდარიყავით ბურჟუაზიულ მძარცველების მსხვერპლი. იურიდიული ცნობა, რასაკვირველია, უდიდესი გამარჯვებაა საბჭოთა ხელისუფლების და პირველ ყოვლისა ის არის ჩვენი წითელი არმიის გმირული ბრძოლის შედეგი, მაგრამ ამ გამარჯვების გამო ჩვენ არ მიეცემთ თავს თავდაჯერებას და უდარდელობას, უდიდესი ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და აუცილებელია, ვინაიდან ის მოსალოდნელია არსებული ისტორიული პირობების გამო. ეს განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს წითელი არმიის წლის თავზე და არ გადავფასოთ თავისი ძალები.

მაკდონალდის მთავრობის არსებობა ხანმოკლეა. მაკდონალდი მხოლოდ ნოკარია ინგლისის ბურჟუაზიის; ის მოითმენს მას დრომდი, სანამ ის მისთვის სასარგებლო იქნება, მაკდონალდის მთავრობა მხოლოდ ეპიზოდია და მეტი არაფერი.

არ შეიძლება თავის დაცვის აგება მხოლოდ ამაზე—ინგლისის ბურჟუაზიის შხამიანი კბილი ჯერ არ არის მოთხრილი, ის მხოლოდ მოოქრულია ამ ეპიზოდის გამო, რომელიც შესაძლებელია საფრანგეთშიც, ჩვენ გვაქვს დასვენების საშუალება, მაგრამ ეს ეიოტის ოდენთაც არ ამცირებს საფრთხეს. ამის დამამტკიცებელია აგრეთვე ინგლისის მრეწველთა ფედერაციის რეზოლიუციის 6 მუხლი, თითეული ამ მუხლზე ჩვენ უპასუხებთ „არა“ (მხურვალე ტაში). მაგრამ, რომ ეს „არა“ ისმოდეს მკვეთრად და გაბედულათ, არის მხოლოდ ერთი საიმედო დიპლომატია—ეს არის წითელი არმია და წითელი ფლოტი. წითელი არმიის და წითელი ფლოტის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ არ მიეცენ ზედმეტ ოპტიმიზმს, არამედ აუხსნან თითეულ წითელარმიელს საქმის ვითარება.

წითელი არმიის მნიშვნელობა—ერთი უმნიშვნელოვანესი საქმე არის. ლენინის მემკვიდრეობას ჩვენ ვერ დავკარგავთ. წლის თავზე ჩვენ უნდა მოვიხედოთ უკან, დავინახოთ ჩვენი სუსტი მხარეები და არ შეგვეშინდეს მათი აღიარების.

ამხ. ზინოვიევი ხაზს უსვამს კომპარტიის როლს წითელი არმიის მშენებლობაში და მიუთითებს, რომ ამ მუშაობაში ლენინგრადის მუშებს ეკუთვნის პირველი როლი და მთავარი ადგილი. დასვენება უნდა გამოვიყენოთ მუშებისა და გლეხების უფრო მჭიდროთ შესაკავშირებლად, კულტურის ასამაღლებლად და განსავითარებლად; ამ განვითარების საუკეთესო ფაქტორი უნდა გახდეს წითელი არმია. წითელმა არმიამ შესძლო დაპყრობა ხალხის გულისა, რომელსაც საერთოდ არ უყვარს შეიარაღებული ხალხი. ის შეიქნა მუშებისა და გლეხების საყვარელი და ეს არის ყველაზე უდიდესი წინაპირობა მომავალი გამარჯვებისათვის. გაუმარჯოს წითელ არმიასა და წითელ ფლოტს“.

ამხ. ზინოვიევის სიტყვებს ფარავენ მხურვალე ტაში და ინტერნაციონალის ჰანგები.

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲘ

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ბათუმი. 24 თებერვალს ნავთსადგურში მოდის ძმ. მანუილიდისების გემი. პირველად უკანასკნელ ხანებში გემი წაიღებს ტყიბულის ნახშირს.

„გოსჩანის“ გემი „იენგატი სერგეევი“ დაიტვირთა ტყიბულის ნახშირით, რომლითაც იგი ისარგებლებს ნოვოროსიისკამდე. ამ ცდას თუ სასურველი შედეგი მოჰყვა, დადებული იქნება ხელშეკრულება ტყიბულის ნახშირის დიდი რაოდენობის მისაწოდებლად.

ფოთი. ამ დღეებში მოელიან გემის „კერჩის“ მოსვლას.

„კერჩი“ წაიღებს 40.000 ფუთს ტყიბულის ნახშირს ნოვოროსიისკის ცემენტის ქარხნებისათვის.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲑᲐᲚᲜᲘᲣᲚᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲤᲣᲥᲜᲘᲡᲨᲘ.

(27 თებერვალი)

ᲮᲣᲠᲗᲘ ᲕᲐᲜᲘᲡᲘᲡ	— —	3 650 მილ.
ᲒᲠᲘᲜᲘᲩᲘ	—	3 355 „
„ ᲩᲔᲩᲘᲡ	—	3220 „
ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲔᲡᲢᲘᲚᲘ	—	805 „
„ ᲩᲔᲩᲘᲡ	—	745 „
ᲝᲡᲛ. ᲚᲘᲠᲐ	—	485 „
ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲚᲘᲠᲐ	—	32,5 „
ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲤᲠᲐᲜᲙᲘ	—	31,5 „
ᲡᲐᲑᲭ. ᲤᲣᲚᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗᲘ	—	17 „

ᲑᲘᲠᲟᲐᲗᲐᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

(27 თებერვალი)

პური 2 ხარ. 20,000 ათ., ძროხის ხორცი—90,000 ათ. ღორის ხორცი—85000 ათ. შაქარი რაფინადი 136 800 ათ. ფუნთული შაქარი—99,180 ათასი, კარტოფილი—7000 ათ.

ᲥᲣᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

(24 თებერვალი)

პური 1 ს.—40000 ათ., პური 2 ხარ.—20000, ძროხის ხორცი 120.000 ათ. ღორის ხორცი 120.000 ათ., შაქარი რაფინ. 140.000 ათ., შაქარი ფუნთული 105,000 ათ., კარტოფილი 15.000 ათ.

ᲑᲘᲠᲟᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲐ.

„ცენტროსოიუზ“-ის ჩაი; ცეილონის და ჩინეთის ჩაი, სახურავი რკინა, ფურალმეტის პროდუქცია, აბრეშუმი (ნეფელი), ნაწლეკები. (15,000 კონა), სპილენძი ფურცლოვანი, როსტოვის პაპიროსები, საშენებელი ლურსმნები, ტყავის ლენტები, „სახაროტრესტ“-ის პროდუქცია, „კოოსანდიკატ“-ის პროდუქცია, ხორბალი და ჭერეული, კვებრახის ელესტრატი, შეიღაარული ყველი, რუს. მანუფაქტურა, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა, კუსტიური სოდა, ასანთი რუსული, სხ. მეურნ. საბჭ. საპნის და საფეიერო ტრესტის პროდუქცია, (საპონი 1 ხარ. „პეტუხ“, ტუალეტის, ნართავი, ოლიფას ზეთი დასხვ.), ცემენტი და ეტერნიტი, მატყლი (გარეცხილი), ქინაქინა, გიგროსკოპიული ბამბა, ფანქრები, ყავა „მოკა“, ტომრები, თხილი, ნიშადური, შაბიამანი, შაბი, ქაღალდი (გაზეთის), კარტოფილის ფქვილი 1 ხარ.. ძირტკბილა. კარტონი, ასანთი საექსპორტო, ხორბალი ადგილობრივი, განჯას წითელი ღვინო.

ᲑᲘᲠᲟᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐ.

შაბიამანი, რუსული მანუფაქტურა შაქარი რაფ. და ფუნთული, ქვა-მარილი ნახიჩ., „კოკესინდიკატის“ პროდუქცია, სალამასი, მზესუმზირას ზეთი, ყუბანის ფქვილი, ასანთი რუს. თუჯის და რკინის ნატეხი, გოგირდი, ნედლი ტყავეულობა, პორტლანდიის ცემენტი, ყუბანის საკანდიტერო ფქვილი.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐᲜᲘ.

შავი-ქვის ხამტვრევი მანქანა.—1500 ოსმ. ლირის თანხისა, ფრანკო—გამყიდველის საწყობი.

ქვა-მარილი ნახიჩევ.—61 კ. ფუთი, ფრანკო—სადგ. ტფილისი.

ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲘᲚᲔᲑᲐ.

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება უცვლელია.

ᲡᲞᲘᲠᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲝᲑᲐ.

ამა წლის იანვრის განმავლობაში მუშაობდნენ სრული დატვირთვით გომის და ამასთუმანის არაყის ქარხნები. ტრესტის გამგეობამ ყურადღება მიაქცია ქიმიურ ლაბარატორიას, რომელიც ეხლა „გამოყოფილი ცალკე ერთეულად-დამოუკიდებელ შტათით, „საწარმოო ლაბარატორიის“ სახელწოდებით. ლაბორატორიაში გაკეთებულია რემონტი და დადგმულია საჭირო მოწყობილობა. ტრესტის გამგეობამ დასდო ხელშეკრულება წარმოკავშირთან № 1 ქარხნის საერთო გამოყენებისათვის ჭაჭის სპირტის გამოსახდელათ. მისთვის უკვე დაწყებულია მუშაობა.

ჯუდის და ყინულის ქარხნებში, სადაც მუშაობა ხამორის გამო არ წარმოებდა, მოხდა შტატების შემცირება. ამიტომ ყველა ქარხნებში ინანვრის განმავლობაში ირიცხებოდა სულ 149 მუშა-მოსამსახურე

იანვრის პროდუქცია გვაოიხატა შემდეგნაირ: გამოხდილია ჭაჭის სპირტი-635734 გრადუსი (75,27 პროც. მეტი, ვიდრე წინა თვეში); გადასხმულია: არაყი 2938 გრად., კონიაკი 31,5 და სპირტი-1248 გრ.

პროდუქციის რეალიზაცია გამოიხატება შემდეგი ციფრებით: გაყიდულია-კონიაკი 77 ვედრა, არაყი-66 ვ., სპირტი-131 ვ. და ლუდი—208, ღვინოებულებით სულ 3833 მ. 32 კ. წინა თვესთან შედარებით იანვარში ტრესტის საერთო ბრუნვა 1839 მანეთით ნაკლებია.

ტრესტის ფინანსიური მდგომარეობა ჯერჯერობით მძიმეა: ნაწარმოების გასაღება თანდათან ეცემა. მაგ. პურის სპირტის გასაღება იანვარში დაეცა 55 პროცენტით, წინა თვესთან შედარებით.

ᲩᲐᲠᲗᲕᲚᲘᲡ ᲓᲐ Ა.-ᲥᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲑᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ

(27 თებერვალი.)

ᲬᲚᲘᲡ.	ᲑᲝᲜᲘᲗ	ᲬᲚᲘᲡ.	ᲑᲝᲜᲘᲗ.
1 კ.—	3.650.000	56 კ.—	204.400.000
2 კ.—	7.300.000	57 კ.—	208.050.000
3 კ.—	10.950.000	58 კ.—	211.700.000
4 კ.—	14.600.000	59 კ.—	215.350.000
5 კ.—	18.250.000	60 კ.—	219.000.000
6 კ.—	21.900.000	61 კ.—	222.650.000
7 კ.—	25.550.000	62 კ.—	226.300.000
8 კ.—	29.200.000	63 კ.—	229.950.000
9 კ.—	32.850.000	64 კ.—	233.600.000
10 კ.—	36.500.000	65 კ.—	237.250.000
11 კ.—	40.150.000	66 კ.—	240.900.000
12 კ.—	43.800.000	67 კ.—	244.550.000
13 კ.—	47.450.000	68 კ.—	248.200.000
14 კ.—	51.100.000	69 კ.—	251.850.000
15 კ.—	54.750.000	70 კ.—	255.500.000
16 კ.—	58.400.000	71 კ.—	259.150.000
17 კ.—	62.050.000	72 კ.—	262.800.000
18 კ.—	65.700.000	73 კ.—	266.450.000
19 კ.—	69.350.000	74 კ.—	270.100.000
20 კ.—	73.000.000	75 კ.—	273.750.000
21 კ.—	76.650.000	76 კ.—	277.400.000
22 კ.—	80.300.000	77 კ.—	281.050.000
23 კ.—	83.950.000	78 კ.—	284.700.000
24 კ.—	87.600.000	79 კ.—	288.350.000
25 კ.—	91.250.000	80 კ.—	292.000.000
26 კ.—	94.900.000	81 კ.—	295.650.000
27 კ.—	98.550.000	82 კ.—	299.300.000
28 კ.—	102.200.000	83 კ.—	302.950.000
29 კ.—	105.850.000	84 კ.—	306.600.000
30 კ.—	109.500.000	85 კ.—	310.250.000
31 კ.—	113.150.000	86 კ.—	313.900.000
32 კ.—	116.800.000	87 კ.—	317.550.000
33 კ.—	120.450.000	88 კ.—	321.200.000
34 კ.—	124.100.000	89 კ.—	324.850.000
35 კ.—	127.750.000	90 კ.—	328.500.000
36 კ.—	131.400.000	91 კ.—	332.150.000
37 კ.—	135.050.000	92 კ.—	335.800.000
38 კ.—	138.700.000	93 კ.—	339.450.000
39 კ.—	142.350.000	94 კ.—	343.100.000
40 კ.—	146.000.000	95 კ.—	346.750.000
41 კ.—	149.650.000	96 კ.—	350.400.000
42 კ.—	153.300.000	97 კ.—	354.050.000
43 კ.—	156.950.000	98 კ.—	357.700.000
44 კ.—	160.600.000	99 კ.—	361.350.000
45 კ.—	164.250.000	1 მ.—	365.000.000
46 კ.—	167.900.000	2 მ.—	730.000.000
47 კ.—	171.550.000	3 მ.—	1.095.000.000
48 კ.—	175.200.000	4 მ.—	1.460.000.000
49 კ.—	178.850.000	5 მ.—	1.825.000.000
50 კ.—	182.500.000	6 მ.—	2.190.000.000
51 კ.—	186.150.000	7 მ.—	2.555.000.000
52 კ.—	189.800.000	8 მ.—	2.920.000.000
53 კ.—	193.450.000	9 მ.—	3.285.000.000
54 კ.—	197.100.000	1 ᲮᲠᲘᲜᲒ.	3.650.000.000
55 კ.—	200.750.000		

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲨᲘ

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲢᲐᲠᲘᲤᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

(ᲐᲛᲮ. ᲧᲣᲑᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲝᲡᲮᲔᲜᲘᲗᲐ)

ხელფასის გამოანგარიშების და გადახდის დრო.

ხშირად სამეურნეო ორგანიზაციები ხელფასს არიგებენ საქონლის მანეთის გამოქვეყნების რამოდენიმე დღის შემდეგ, რაც საგრძნობლად ამცირებს ხელფასის რეალურ ღირებულებას. გარდა ამისა, ხელფასის გამოქვეყნებული მაქსიმუმი ხშირად ირღვევა სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა მიერ, რასაც სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

ᲙᲐᲛᲐᲗᲘ.

ამხ. მაჭაძე აღნიშნავს, რომ ამჟამად რესპუბლიკაში დაწესებულია მტკიცე, ურყევი შტატი, რაც აუცილებლად ბოლოს მოუღებს ამ დარღვევებს. გაბატონებულს ვაკხანალიას. შრომის სახ. კომ. ყოველი ღონისძიებით ცდილობს ამ საკითხის მოგვარებას.

ხელფასის მაქსიმუმი დაკანონებულია 195 ჩერვონეცის მანეთის რაოდენობით, და არც ერთ ორგანიზაციას, რომელიც სახელმწიფო მომარაგებაზე იმყოფება, არ შეუძლია დაარღვიოს უკვე დაწესებული მაქსიმუმი.

საქართველოს შრომის სახ. კომ. ცდილობს ტრესტები და სინდიკატები მოაქციოს ხელფასის მაქსიმუმის საერთო ჯგუფში.

სახელმწიფო მინიმუმის ხელოვნურ შეცვლებასთან საბრძოლველად აუცილებლად საჭიროა პარიტეტის დაწესება საქონლის და ჩერვონეცის მანეთის შორის.

სახ. გან. კომისარიატი პროფსაბჭოს ნებადაურთველად აფართოებდა სკოლების ქსელს განათლების მუშაკთა ხელფასის ხარჯზე. ამჟამად გან. სახ. კომისარიატთან დაარსებულია სატარიფო განყოფილება და სახ. განათ. კომ. შრომის სახალხო კომ. და პროფსაბჭოს ნებართვის გარეშე სკოლებს ვერ გახსნის.

ამხ ხერგეევი აუცილებელ საჭიროებად აღიარებს საქონლის მანეთის თავის დროზე გამოქვეყნებას; თვის პირველი ნახევრისთვის საქონლის მანეთი ცხადდება 17—18 რიცხვში, კოლექტ. ხელშეკრულების ძალით ადმინისტრაციას ნება აქვს სამი დღის განმავლობაში დაარიგოს ხელფასი და ფაქტიურად პირველი ნახევრის ხელფასი რიგდება 20—21 რიცხვში.

რაც შეეხება ინდივიდუალურ განაკვეთს, იგი სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ისე არის გადაწყვეტილი, რომ თითქმის მოსამსახურეთა უმრავლესობა ხელფასს ღებულობს ინდივიდუალური განაკვეთის მიხედვით. ეს ბოროტება, რომელსაც სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა სატარიფო პოლიტიკის საფუძვლად მიიღო მომხსენებლის მიერ წამოყენებული დებულებანი. დადგენილების შესახებ საბოლოო რეზოლიუციის გამომუშავება დაეკვალა სამდივნოს.

კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების ხელმძღვანელობა თათბირი.

ერთი კვირის წინად შესდგა ამხ. ყურულაშვილის თავმჯდომარეობით პროფკავშირების ქვედა უჯრედების კედლის გაზეთების სარედაქციო-კოლეგიათა საორგანიზაციო თათბირი. ამხ. ყურულაშვილმა ანგარიში გაუწია კედლის გაზეთების [illegible] ამ. შეეხო მათი წარმოშობის ისტორიას და მაუთითა კედლის გაზეთებისა [illegible] გორც იდეურ, ისე მატერიალურ ხელისშეწყობის საჭიროებაზე.

კედლის გაზეთები წარმოიშვენ სტიქიურად პროფკავშირის ქვედა უჯრედებში, რაც იმის თავდებია, რომ ისინი მეტად მზანშეწონილი და ცხოველმყოფელი იქნებიან.

თათბირმა კედლის გაზეთების გასაუმჯობესებლად აუცილებელ საჭიროებად აღიარა კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების პერიოდული თათბირის მოწყობა.

ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲗᲐᲨᲘ

ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲘᲡ ᲢᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

როგორც უკვე გამოქვეყნებული იყო, ქალალდის ტრესტის ტფილისის განყოფილება მოქ. კისლერის სახით, რომელიც არის ტრესტის კონტრაგენტი და ამავე დროს სრული ბატონ-პატრონი ტფილისის განყოფილებისა შრომის სასამართლოს მიერ ცნობილი იქნა დამნაშავედ შრომის დაცვის კოდექსის დარღვევის გამო და დაჯარიმებულ იქნა 1,000 მან. ჩერვონ.

მოქ. კისლერს, რა თქმა უნდა, არ მოეწონა საქმის ამგვარად დამთავრება. მან გაასაჩივრა შრომის სასამართლოს დადგენილება და 21 თებერვალს საოლქო სასამართლომ ამხ. გურგაძის თავმჯდომარეობით განიხილა საქმე საკასაციო წესით.

პროცესში მონაწილეობას ღებულობდა შრომის სახ. კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. ქართველიშვილი.

საოლქო სასამართლომ დაამტკიცა შრომის სასამართლოს დადგენილება: — დაჯარიმება 1,000 მან. ჩერვ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

წყლის ენერგიის რაოდენობა დედამიწაზე.

ამერიკის ერთმა სამეცნიერო საზოგადოებამ, რომელიც იკვლევს წყლის ენერგიის გამოყენებას ტეხნიკური მიზნებისათვის, წარსულ წელს გამოუშვა ატლასი, რომელშიც მოცემულია მსოფლიოში წყლის ენერგიის განაწილების სურათი.

მუშაობაში ამ ატლასის შესადგენად და გამოსაცემად მონაწილეობა მიიღეს ევროპის გამოჩენილმა მეცნიერებმა. საზოგადოებამ მიზნად დაისახა გამოერკვია წყლის ენერგიის რაოდენობა მსოფლიოში და აგრეთვე ის, თუ რა ნაწილი ამ ენერგიისა არის გამოყენებული.

მიუხედავად იმისა, რომ წყლის ენერგიის საერთო რაოდენობიდან ამერიკას ხვდება მხოლოდ 15 პროც. უკვე გამოყენებული ენერგიის რაოდენობიდან, ამერიკას ეკუთვნის ყველაზე მეტი; ამერიკას, მსოფლიოში გამოყენებული წყლის ენერგიის საერთო რაოდენობიდან ხვდება 41 პროცენტზე მეტი ევროპის სახელმწიფოებიდან წყლის ენერგიის გამოყენების მხრივ პირველი ადგილი უჭირავს ნორვეგიას.

წყლის ენერგიის მსოფლიო რაოდენობით თითქმის ნახევარი (440 მილიონი ცხენის ძალა) არის ამერიკაში, მაგრამ ამ რაოდენობიდან გამოყენებულია მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი—11.000.000 ცხენის ძალა.

მთელ მსოფლიოში გამოყენებული წყლის ენერგიის რაოდენობა უდრის 23.000.000

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

— **დეპეშა ამიერ-კავკასიის ცაკ დენინგრადიდან.** ლენინის მაზრის აღმასკომის პლენუმი საქართველოს მშრომელ მასების განთავისუფლებიდან 3 წლის შესრულების გამო, გიგზავნით ძმურ პროლეტარულ სალამს და გისურვებთ, რომ მშვიდრო რიგებით, მთელი ქვეყნის მშრომელთა თანამშრომლობის ნიშნ ქვეშ გვიძრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ სოციალიზმის განხორციელებამდე. გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მშრომელთა ძმურ თანამშრომლობას. გაუმარჯოს საქართველოს მშრომელ მასების განთავისუფლების 3 წლის თავს.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘ.

— **ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.** პარასკევს, თებერვლის 29-ს, საღამოს 7 საათზე, ცენტრარქივის დარბაზში (ყ. ოლდას ქ. № 48) მოხდება საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც ლეონ მელიქსეთ-ბეგი წაიკითხავს მოხსენებას: „არქეოლოგიურ მოგზაურობიდან კავთურის ხეობაში 1923 წ“. კრებას ყველას შეუძლია დაესწროს.

— **ᲗᲑᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲔᲑᲐᲗᲐ.** ქართული დივიზიის მთლიანი კოოპერატივის გამგეობამ დაადგინა კოოპერატივიდან საქონლის სესხთა გაცემის ვადა გაგრძელებული იქნას 10 მარტამდე.

— **ᲮᲐᲑᲔᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ.** ქალაქის აღმასკომმა კომუნალურ განყოფილებას დაავალა აიღოს სესხი კომუნალურ ბანკიდან ტფილისში სახლების შესაკეთებლად და ახლების ასაშენებლად.

— **ᲮᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲕᲪᲘᲡ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ.** ამ ჟამად ქ. აღმასკომი აწარმოებს საცხოვრებელ და სავაჭრო ბინების სივრცის აღრიცხვას. აღრიცხვა დამთავრდება მარტის დამლევს.

— **ᲛᲐᲚᲐᲠᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ.** ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ კომისარიატმა ტფილისში გახსნა მალარიის წინააღმდეგ მებრძოლი ამბულატორია, მაზრებში დაიგზავნენ სპეციალური რაზმები მალარიასთან საბრძოლველათ.

— **ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲮᲐᲮᲐᲚᲗᲐᲡᲗᲕᲘᲡ.** ქალაქის სახალთაზე 1923 წლის განმავლობაში მორეკილი იქნა 121003 სული საქონელი, აქედან დაიკლა 99,857 სული, რაიც შეადგენს მორეკილი საქონლის 82,5 პროც.

— **რამდენი წყალი ხმარდება ქალაქს.** 1923 წ. განმავლობაში ავეზელის წყალსადენმა ქალაქს მიაწოდა 437,560,848 ვედრო წყალი, ხოლო დაიხარჯა—319,383,199 ვედრო.

— **ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲗᲐ ᲥᲕᲔᲑ

ეუფლოთ ცხოვრებას

ერთმანეთს ვეხმარებით

ამით უცხადებთ ყურმეს მაღლობას ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის პრეზიდიუმის სახელით ამიერ-კავკასიის რკინიგზელთა პროფკავშირის კულტგანყოფილების გამგეს ამხ. ხუბოვს და საინსტრუქტორო განყოფილების გამგეს ამხ. სეროპიანს, რომლებმაც ჩვენი თხოვნა დააკმაყოფილეს და უფასოდ მოგვცეს 500 ცალი რევოლიუციონური, თანამედროვე წიგნაკები (ბროშურები), რომლებიც განაწილებული იქნება ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა ადგილკომების წიგნთსაცავ-სამკითხველოებში.

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის კულტურულ-განმანათლებელ განყოფილების გამგე

ამ. თოდრია.

რკინის გზის ადმინისტრაციის საუურადღებოდ

ამ დღეებში სადგურ ნავთლუღში იდგა მატარებელი, რომელიც ელოდებოდა განკარგულებას. ამხ. მემანქ. თოფჩიშვილმა მიიღო „ეგზლო“ № 67 და დაიძრა მატარებელი № 21. სემაფორები ღია იყო. სემაფორის ახლო ისრები ჯვარედინად იყო გაბსნილი, როგორც ნავთლუღიდან მიმავალი მატარებლისთვის, აგრეთვე მთავარ სადგურიდან მატარებელი მთელის სისწრაფით მოეურეგბოდა აქეთკენ. მემანქანე თოფჩიშვილმა შენიშნა 80—100 საჟენის სიიმოვნეს, რომ ისრები დახსნილია, ამავე დროს მოდიოდა მუშა-მოსამსახურეების მატარებელი № 44. გზას და პასაჟირებს დიდი კატასტროფა მოელოდა, მაგრამ ამხ. თოფჩიშვილმა სამი საჟენის სიიმოვნეზე შეაჩერა მატარებელი და დიდს უბედურებას გადაარჩინა მგზავრები და მუშა-მოსამსახურეები. ამ რიგად ორიეე მემანქანეებმა გადაარჩინეს ნგრევისაგან 40-მდე ვაგონი და 500—600 მუშები და მგზავრები. ამბანაგ თოფჩიშვილის მანქანის №№ 6,391—9,085-აა. საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რით დააჯილდოებენ ასეთ ენერგიულ და ფხიერ მუშებს?

მუშკორი რკინიგზელი.

უნდა მოგვეცეს, რაც გვერგება.

(რკინის გზის პროფკავშირთა საბჭოს საუურადღებოდ).

ზოგიერთ ამეარ მუშა-მოსამსახურეებს ჯერაც მიუღებელი აქვთ დეკემბრის თვის ნავთი, რის გამო ისინი ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან და სესხად გაიაქვთ ნავთი; იმიდია საჩქაროდ მიაწოდებენ მათ როგორც ხსენებულ თვის ნავთს, ისე იანვრის თვისაც.

მუშკორი სანდრო ბოჟორიშვილი

შეგნებული მუშები უსაქმურ ადგილკომს სელს არ აფარებენ.

ქალ. აღმასკომის კომუნალურ განყოფილების ადგილკომი, რომელიც აერთებს 300—400 თანამშრომელს, უნდა იჩენდეს განსაკუთრებულ ნიკს თანამშრომელთა სათანადოთ დასაკმაყოფილებლად. ამ ადგილკომს ბევრი მეოთხოება და ბევრის გაკეთებაც შეუძლია, თუ არ მოერიდება შრომის და ენერგიის დახარჯვას. ყოფილი ადგილკომის მოქმედება არა დამაკმაყოფილებელია. მან ვერ შესძლო მუშებისთვის მინიმუმის მიცება, დახმარება თანამშრომლებზე საკულტურო-საეკონომიო და სპეროფესიონ საქმეებში—სრულებით არ სწარმოებდა ამიტომ ა. | წ. 4 თებერვალს გადაყენებულ იქნა ადგილკომი და მის ნაცვლად არჩეულ იქნა ახალი შემდეგი შემადგენლობით: 1. მატრ. ციხაძე, 2. ე. მიქელაძე და 3 დიმ. ებრაელიძე. სარეფერნო კომისიაში: ამხ. ტაროშვილი და საღირაშვილი.

ვუსურვებთ ახალ ადგილკომს მეტს ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობას.

მუშკორი ათ. ივანიძე

კომუნალურ წყალსადენის მუშათა კლუბში

წყალსადენის მუშათა „ლადო სუხიშვილის სახელობის“ კლუბში ამ ბოლო დროს სისტემატიურად იდგმება საბავშვო საღამო წარმოდგენები, რაც აიხსნება გადახალისებულ ადგილკომის და კულტუჯრედის ენერგიული მუშაობით.

19 თებერვალს ა. | წ. ამ კლუბში დადგმულ იქნა საბავშვო საღამოწარმოდგენა სამ-განყოფილებად. წარმოდგენილ იქნა ორი პიესა „მდგმური“ და „ორი მშიერი“. მაღლაბი და ქვირცხლი მოთამაშენი საუკეთოვად ასრულებდნენ თავიანთ როლებს. საფონოვის როლი კარგად ჩაატარა ამ წარმოდგენების ხელმძღვანელმა ანხ. გრ. ანაშვილმა. წაიკითხეს საკუთარი ლექსები: შ. თუშმალიშვილმა „ჰორიზონტზე“, რ. ლეკვამ „ქალის ქანდაკი“, კ. თუშმალიშვილმა „ზღვაზედ“ და სხვა.

სიმღერიან ორკესტრზე შესრულებულ იქნა რამდენიმე ჰიმნი. იმღერეს თანამედროვე კუპლეტები „ვაი-ვეის“ და „ჯან-ჯან“-ის ხმაზე. მოთამაშეთ დიდი ნიჭი ეტყობათ და ვუსურვებთ მათ ენერგიული მუშაობას.

მუშკორი ათ. ბანძაძე

მუშათა ქრონიკა

— მუშკორების მოსამზადებელი კურსები. სტალინის სახელობის კლუბთან მოეწყო მუშა-კორესპონდენტების მოსამზადებელი კურსები. მსურველ მუშა-მოსამსახურეებს შეუძლიათ ჩაეწერონ. კურსები სამთვიანია.

— სამხატვრო წრე მუშებისათვის სტალინის კლუბთან განზრახულია მოკლე ხანში მოეწყოს მუშა-მოსამსახურეებისათვის სამხატვრო სტუდია.

— დიანდგის სამმართველოში. აქ შესდგა საერთო კრება, სადაც არჩეული იქნა კომისია სხვადასხვა სამეშაოდან გადარჩენილი ფულების მუშა-მოსამსახურეებზედ გასანაწილებლად.

გამოგზავნილ წერილებიდან.

სასლები ინგრევა

(ქალ. აღმასკომის საუურადღებოდ).

დიდი ხანია, ჩვენი მუშკორები მიუთითებდნენ ქალაღმასკომს სახლების ტეხნიკურად შეძლოწმება-შეკეთებაზე; მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი ხმა დღემდე რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. სახლები კი სახლის პატრონების უთვალყურობის გამო ინგრევა, იქცევა თავისთავად. ქალაქში ამის მაგალითები უკვე არის და რამოდენმე მსხვერპლიც არის.

ნუ თუ ამგვარი საშინელი მდგომარეობა კიდევ გაგრძელდება? ნუ თუ ჩვენი მუშები არ უნდა იქნენ უზრუნველყოფილი იმ მხრივ მაინც, რომ მათ ყოველ წამს და წუთს არ ეშინოდეთ სახლის დაცემისა?!

საჭიროა დაუყოვნებლივ შესდგეს ტეხნიკური კომისია, რომელსაც დაევალოს შემოწმება-დათვალიერება ყველა მუშათა და საბჭოთა სახლებისა, თუ რამდენადაც ისინი უზრუნველყოფილი არიან „თავისთავად“ დანგრევისაგან.

საჭიროა მუშათა და საბჭოთა სახლების შეკეთება, რაც უნდა დაგვიჯდეს ეს, თუ არა და უბედურება მოახლოვებულია.

მუშა-კორესპოდენტი მოკეთე.

მუშკორი ნაკლებად ეგვძლევეს თეთრეულის მატერიას

(მუშკოოპის გამგეობის საუურადღებოდ)

მუშკოოპში ყველა მუშებს კრედიტი გახსნილი გვაქვს საჭირო საქონლის შესაძენად. ეს ჩვენთვის დიდი საშუალებაა, რისთვის დიდ მადლობას უძღვნით ჩვენს ადმინისტრაციას და „მუშკოოპს“ გამგეობასაც. მაგრამ აქ არ შეგვიძლიან არ მივთითოთ მუშკოოპის გამგეობას ერთ დიდ დანაკლისზე. საქმე შემდეგშია: „მუშკოოპი“ ნარმას, ჩითს და სხვა ამ მხრივ ყველა განყოფილებათა გამგეებმა. პლენუმმა როგორც სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის, აგრეთვე რაიაღმასკომების მუშაობა, სამი რაიაღმასკომის გამონაკლისით, სცნო სრულიად დამაკმაყოფილებლად, მოიწონა მომავალ მუშაობის გეგმა. ფშავ-ხევსურეთის და გუდამაყრის მდგომარეობის შესახებ გაწეული საკუთრებული მოხსენება გაიკეთა ისევ ამხ. იოსებ ბრეგვაძემ, რომელმაც გააცნო პლენუმს აღნიშნული ხალხის ადათი და ზნეჩვეულება და მდგომარეობა სწავლა-განათლების მხრივ. ბოლოს დასძინა, რომ აღნიშნულ რაიონებში საჭიროა გაზიფხულიდან 4 სკოლის, 3 სამშობიაროს, 3 საექიმო და საფერშლო პუნქტების გახსნა. პლენუმმა მოიწონა ამხ. ბრეგვაძის მოხსენება და დაადგინა განზრახულ დაწესებულებების აუცილებლად გახსნა ცენტრალურ მთავრობის დახმარებით. ამ უკანასკნელ საკითხის გარჩევის დროს პლენუმს დაესწრო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლომბერიძე, რომელმაც მოიწონა ფშავ-ხევსურეთის და გუდამაყრის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გამომუშავებული გეგმა და საერთო პლენუმით და თამბირით ძლიერ კმაყოფილი დარჩა. ამავე პლენუმმა დაადგინა და დაავალა სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმს საჩქაროთ ჩამოაყალიბოს და ცხოვრებაში გაატაროს ის გამარტივებული აპარატი აღმასკომისა, როგორც მიიღო მეორე საბჭოთა ყრილობამ. პლენუმი გაგრძელდა 18 თებერვლამდე.

ს. ლეკვა.

ბიბლიოგრაფია

ალექსანდრე ყაზბეგი. რჩეული მოთხრობები. ტომი 1.

ს. ს. ს. რ. საბჭოთა გამომცემლობა. ტფილისი 1924 წ.

წიგნების გამოცემის საქმე არასოდეს არ ყოფილა ჩვენში ისე ფარფოდ დაყენებული, როგორც დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ჩვენი სახელმწიფოს გამომცემლობა ეწევა დიდ მუშაობას, იმ ნივთიერ საშუალებათა ფარგლებში, რომელიც არის მის განკარგულებაში.

გამოიცა დიდძალი სახელმძღვანელო წიგნები, მარქსისტული ლიტერატურა და მრავალი სხვ.

მცირედ ყურადღება არა აქვს მიქცეული სიტყვა-კაზმულ მწერლობასაც.

ამ დარგში სულ ბოლო დროის გამოცემათაგან აღსანიშნავია ალექსანდრე ყაზბეგის რჩეული მოთხრობების პირველი ტომი.

პირველი წიგნი შეიცავს ექვს მოთხრობას: „ელგუჯა“, „ცოკო“, „ელისო“, „მამის მკვლელი“, „ელბრედ“, „ელეონორა“.

როგორც ამ კრებულის რედაქტორი ს. აბაშელი გვაუწყებს წინასიტყვაობაში, მეორე წიგნში შევა ყაზბეგის შემდეგი რვა მოთხრობა: „ნამწყვიმარი მოგონებანი“, „მოძღვარი“, „ბევის ბერი გოჩა“, „ციცკა“, „ნინო“ ბერდია“, „ციცია“, „განკიცხული“.

რაც შეეხება ალ. ყაზბეგის დანარჩენ ნაწერებს, მათი გამოცემა სხვა დროისათვის გადაუდვიათ.

ყაზბეგის მოთხრობათა წინანდელ გამოცემებში მრავალი შეცდომა ყოფილა შეპარული, აგრეთვე ზოგან ცალკე ადგილებიც გამოტოვებულა. რედაქციას აღუდგენია პირვანდელი ტექსტი, ამასთან შეუსწორებია „ზოგიერთი გრამატიკული შეცდომები და აშკარა შეუსაბამობანი“.

„მამის მკვლელი“-ს გადათვალიერების დროს მაინც შევამჩნიეთ რამდენიმე ალაგას სახელების აღრევა.

188 გვერდზე წერია: „ყაზახები, რომელთა შორის ნუნუს საქმროც იყო“... საქმროში ნაგულისხმევია გრიგოლა, რომელიც ცოტა ქვემოდ კიდევ არის დასახელებული. ნუნუს ოფიციალური საქმრო ნინია იყო, გრიგოლას ძმა. სხვა საქმეა, თუ რა განზრახვა ჰქონდა გრიგოლას ნუნუს მიმართ, ყოველ შემთხვევაში მისი სურვილი მოთხრობის იმ ალაგას არ არის გამოაშკარავებული.

287 გვ. ვკითხულობთ: „გაუმარჯოს შენს მარჯვენას!—დაიძახა კობამ და გადაფრინდა ირინესაკენ“... ირემი თვით კობამ მოკლა და, მაშასადამე, ის ასე ვერ იტყოდა თავის თავზე. კონტექსტიდანაც ცხადია, რომ აქ კობას მაგივრად თორლა უნდა იყოს ნახსენები.

281 გვ.: „ეკიმი, რომელიც მოვიდა კობას ეროლობის შესახებ“... და 290 გვ.: „მაშ ხვალა, რაღა?—იკითხა კობამ, რომელიც განთავისუფლებულიყო ჭრილობიდან“... კობას ნაცვლად ორივე შემთხვევაში უნდა ეწეროს ივგო, ვინაიდან ეს უკანასკნელი იყო დაჭრილი და არა კობა.

მაგრამ ეს უმნიშვნელო წვრილმანებია.

წიგნს წამძღვარებული აქვს კრიტიკული წერილები ივ. გომართელის: „ალ. ყაზბეგი და მისი ძიება“ და ვინტანგ კოტეტიშვილის: „ალექსანდრე ყაზბეგი. პიროვნული დახასიათება“.

ალ. ყაზბეგის შემოქმედება დღემდე არ ყოფილა საკმაოდ გამოკვლეული და შეფასებული, უფრო ნაკლებადაა ჩაწვდომილი მისი უცნაური და ფანტასტიური პიროვნება.

ალ. ყაზბეგის ნაწერებში ამოწურულია მთის მომხიბლავი ბუნება; მოცემულია მოხეველების თემური კულტურა, მსოფლმხედველობა, ყოფა-ცხოვრება, მორალური სახე; გადაშლილია თემის სასტიკი ბრძოლა უცხო, თვითმპყრობელურ ძალასთან.

ამ ბრძოლის ფონზე იშლება ყაზბეგის გმირთა პიროვნული ცხოვრება, რომელიც მოქცეულია საბეედისწერო სიყვარულის რკალში. ყაზბეგის სიყვარული ტრადიციული ხასიათისაა. აქ მოსჩანს მწერლის უსასოო პესიმიზმი, როგორც საერთოდ მთელ მის მსოფლმხედველობაში.

თვითონ ყაზბეგი ტრადიციული, გაორებული პიროვნებაა, ერთი მხრივ ის „ცოდვილ“ მიწაზეა განრთხმული, მეორე მხრივ მძლავრად მიიწევს ზეციურისაკენ, მას ახასიათებს უდიდესი გაქანება და უმაღლესი ადამიანობა.

გომართელი საერთოდ სწორედ უდგება ყაზბეგის შემოქმედებას და პიროვნებას.

მოფიქრებულია და ყაზბეგისადმი სიყვარულით გამბმული 3 კოტეტიშვილის წერილი, რომელიც შეიცავს, მწერლის ცხოვრების ზოგიერთ გარეგნულ ფაქტებს მოკლედ გადმოცემასთან ერთად, მისი პიროვნული ვინაობის აღდგენის ცდას.

წიგნში მოთავსებულია ალ. ყაზბეგის ორი სურათი: ერთი ბოლო დროინდელი, მეორე—მოსკოვიდან დაბრუნების ხანის.

კრებულში აგრედვე არის მოთავსებული ფაქსიმილედ ალ. ყაზბეგის ავტოგრაფი—„მოძღვარი“-ს ვარიანტი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება: წიგნში შევამჩნიეთ მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო კორექტურული შეცდომები, ისიც იშვიათად, რაც დიდ მადლობელ ჩაითვლება. საერთოდ ჩვენში გამოსული გაზეთები, ჟურნალები, წიგნები დამახინჯებულია უაზრავი კორ. შეცდომებით, რასაც უნდა მიეცეს ყურადღება.

წიგნი დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, შეიცავს 376 გვერდს და ღირს 2 მ. 50 კ. ჩერვონეცით.

ყაზბეგის ნაწერების გამოცემა, თუ გინდ რჩეული მოთხრობების სახით, მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული მწერლობისათვის.

ჩვენ უცდით მეორე ტომის გამოსვლას.

X.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

25 თებერვალი, დღის 7 საათი.

ტემპერატურა (ცელსიუსი): სოხუმში... 8 გრ., ფოთი... 5 გრ., ბათომი... 12 გრ., სამტრედია... 6 გრ., ქუთაისი... 7 გრ. აჯამეთი... 6 გრ. ჭიათურა... 5 გრ., წიფა... 0 გრ. ბორჯომი... 0 გრ., სურამი... 1 გრ., მუხრანი 0 გრ., ტფილისი... 0 გრ., მუკუზანი... 1 გრ., ერევანი... 0 გრ., ბაქო... 6 გრ.

ღრუბლიანობა: ყოველგან სრული.

ქარის ჭრიალა: ფოთში—ჩრდილოეთ აღმოსავლეთის, ზომიერი. სამტრედიაში — ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ნელი. აჯამეთში—აღმოსავლეთის, ნელი. აჯამეთში—აღმოსავლეთის, ძლიერი. ბაქოში—სამხრეთის, ზომიერი. დანარჩენებში ნელი ან სულ არ ქრის.

ნალექი: სოხუმში, ბათომში, ქუთაისში, ბაქოში წვიმა წინა დღით. ფოთში წვიმა ღამით და დილის 7 საათზე. სამტრედიაში—წვიმა ღამით და დილის 7 საათზე. აჯამეთში—თოვლი ღამით. წიფაში—თოვნა ღამით და დილის 7 საათზე ბორჯომში—თოვნა დილის 7 საათზე. ჭიათურაში—ამავე დროს. ბორჯომში—თოვნა ღამით. ტფილისში—ნელი თოვნა საღამოს, ღამით და დილის 7 საათზე. მუკუზანში—თოვნა დილის 7 საათზე და ღამით. ერევანში თოვნა დღით და ღამით.

ამინდი ხაკურთველოში: მოღრუბლულია, ირის ნალექი, ძლიერი ქარია მდინარე რიონის ხეობაში. ჰაერნავს ალაგ-ალაგ აღმოსავლეთ საქართველოში.

ჩრდილოეთ კავკასია.

25 თებერვალი, დღის 7 საათი.

კავკაზი. ტემპერატურა:— 4 გრ., მოღრუბლულია, ქრის სამხრეთ—დასავლეთის ქარი.

ვლადიკავკაზი. ტემპერატურა:—2 გრ., მოღრუბლულია, ქრის აღმოსავლეთის ნელი ქარი.

ტფილისი

26 თებერვალი, დღის 1 საათი.

ტემპერატურა: 4 გრ., მოღრუბლულია, ქრის აღმოსავლეთის ნელი ქარი.

ტფილ. 6 და 7 რაიონების სასამართლოს დადგენილებათა აღმასრულებელი კ. ქაბაძე.

აცხადებს, რომ 1924 წ. 29 თებერვალს დილის 11 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გარდაცვალებულ პეტრე (იგივე პეტროსა) გრიკუროვის ეზრავი ქონების გასასყიდათ, რომელიც იმყოფება სურამინასოვის ქუჩაზე № 8 და რომელიც შეიცავს მიწის ნაკერს შენობებით, ზომით 42 ნახ. კვ. საჟ. და მოთავსებულია, შემდეგ საზღვრებზე; აღმოსავლეთით არგუტინსკის სახლი, ჩრდილოეთით მოქ. გულიევის სახლი, სამხრეთით სურამინასოვის ქუჩა, დასავლეთით იმავე გულიევის სახლი.

ეს ქონება გაიყიდება ბარბალე გრიკუროვის, მეორე ქმრით ეტიკოლოპოვის პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად, ქ. ტფილისის 1-ე რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლის მიხედვით (1923 წ. 20 დეკემბრის თარიღით და 1673 №-ით) 206 ჩერვონეცით.

ეს ქონება დაფასებულია 40 ჩერვონეცათ და ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა ვაჭრობის დღეს უნდა შეიტანონ შეფასების 0,1 ნაწილი საწინდრის სახით და კომუნალურ განყოფილების მოწმობა იმის შესახებ, რომ მყიდველს არ აქვს ტფილისში უძრავი ქონება. უნდა იყოს კომუნალურ განყოფილების ზედწარწერა „ეერწმუნეთ“.

6 და 7 რაიონების სასამ. დადგ. აღმასრულებელი **კ. ქაბაძე.**

1—1. 595

საქართველოს კოოპერატიული

კავშირის-ცენტრავშირის საბანკო განყოფილება

ღებულობს **ანაბარს ვადიანს, უვადოს და მიმდინარე ანგარიშზე** ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით

ჩერვონეცის კურსის მიხედვით და აგრეთვე ჩერვონეცებით როგორც კოოპერატიულ, პროფესიონალურ და სხვა საზოგადო ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე კერძო პირთაგან.

ეძლევა ფულს გადასაგზავნად საქართველოს საგეზოთა რესპუბლიკის ყველა ქალაქებში.

ფულის გადაგზავნა შეიძლება ჩერვონცების კურსის მიხედვითაც.

ოპერაციები სწარმოებს დღის 9—3 საათ. საღ 6—8 ჟდე.

5—1. ნის. 918.

„ახალ კლუბში“

(სასახლის ქ. № 5)

მიიღება შესანახად გამოცდილ მებადის მეთვალყურეობით

ოთახის ყვავილები და ტროპიკული მცენარეები.

საჭირო რეიალი და პიანინო

1—1 5. 917

პროვინციაში

ზემო რაიონი (გორის მაზრა)

გომის რაიონი საკმაოდ დიდია, შესდგება 52—სოფლიდან. გლეხობა განიცდის მატერიალურ სიღარიბეს, რაც უმთავრესად გამოიხატება უტანისამოსობაში, გლეხობას ხშირად პირველ მოთხოვნილების საგნების შეძენა უძნელდება. მიზეზი ყველასათვის ცხადია—სოფლის ნაწარმოების ჩამორჩენა ბაზრის ფასებზე. მიიღო რა მხედველობაში ხალხის გაჭირვებული მდგომარეობა, გომის რაიაღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა, ცენტრალურ წარმოკავშირთან, რათა ს. გომში გახსნილიყო წარმოკავშირის განყოფილება.

განყოფილების გახსნაში უახლოესი მონაწილეობა მიიღო ამხ. წივწივაძემ. აღნიშნული დაწესებულების გლეხობა დიდის აღფრთოვანებით მიეგება. იზრდება წეგრთა რიცხვი, რადგან გლეხობა ხედავს თავის ნაშრომის წესიერ გამსაღებელ და თავის ინტერესების დამცველ დაწესებულებას.

ს. ჭელიძე.

საუულიის თემი (ქუთაისის მაზრა)

გაზ. „კომუნისტის“ № 25 ვწერდით 8 ფებ. შრომის სკოლის შესახებ, რომ მისი გამგე სკოლის საქმეებს ყურადღებას არ აქცევს: საკლასო ოთახებს არ ათბობიებს და ბავშვები სიცივისა გამო ვერ მეცადინეობენ, მისი საქმე უფრო ცეკვა—თამაშია და მასწავლებლები ვ. სვანიძე, ს. ლომიძე და ვ. ლომიძე. რომ ის ცეკვა-თამაშს-ქეიფს აქცევს მეტ ყურადღებას—ამისი ფაქტია 15 იანვარს გამართული საღამო, სადაც დაესწრენ ექიმი მ. არშიძე, ელენე არშიძისა, მთელი მასწავლებლობა, ასონ გერსამია ცოლით და სერაპიონ და იუსტინე სანეკლიძეები. რაც შეეხება სკოლაში უცვცხლობას, ამას დაამტკიცებენ ბავშვები და მათი მშობლები. აი, ასეთი ფაქტებია მიქაბაძის და სხვათა შესახებ, რასაც ვერც მუქარა, ვერც ლანძღვა-გინება და ვერც განათლების განყოფილების და თემის საბჭოს ზოგიერთ მუშაკზე ზურგს უკან ამოფარება ვერ დაარღვევს. მოქ. ნიქაბაძივ! თუ ძალა შეგწევთ დაარღვიეთ ფაქტები; თქვენ ამ შემთხვევაში საქმე გაქვთ კორესპონდენტთან და არა მათთან *), რომელთაც იმ წერილთან არავითარი კავშირი არა აქვთ.

პლატონიძე.

ძ. დუშეთი

15 თებერვალს გაიხსნა დუშეთის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის გაფართოებული სხდომა, ათი რაიონის აღმასკომების თავმჯდომარეთა და ქ. დუშეთში მყოფ ყველა პასუხისმგებელ მომუშაეთა დასწრებით. დღის წესრიგში იდგა თორმეტი სხვადასხვა საკითხი, რომელთა შორის საყურადღებო იყო მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის მუშაობა, არჩევნების შემდეგ მომავალ მუშაობის გეგმა და რაიაღმასკომების თავმჯდომარეების მოხსენება მათი მუშაობის შესახებ. აღმასრულებელი კომიტეტის სახელით მოხსენება გააკეთა აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. იოსებ ბრეგვაძემ და განყოფილებების იცვლებოდა პოლიტიკურად. შარშან სკოლის გამგეთ დანიშნეს. ხალხში ასეთი შეხედულებაა მასზე: ის „ცრუ სტუდენტია“, საშუალო სასწავლებელიც არ დაუსრულებია და განათლების განყოფილებაში „უდოკუმენტოთაა“ მოხსენებული. ასეთი უუფლებონი და დაბალი უფლებიანი არიან ვ. სვანიძე და ს. ლომიძე. რომ ის ცეკვა-თამაშს-ქეიფს აქცევს მეტ ყურადღებას—ამისი ფაქტია 15 იანვარს გამართული საღამო, სადაც დაესწრენ ექიმი მ. არშიძე, ელენე არშიძისა, მთელი მასწავლებლობა, ასონ გერსამია ცოლით და სერაპიონ და იუსტინე სანეკლიძეები. რაც შეეხება სკოლაში უცვცხლობას, ამას დაამტკიცებენ ბავშვები და მათი მშობლები. აი, ასეთი ფაქტებია მიქაბაძის და სხვათა შესახებ, რასაც ვერც მუქარა, ვერც ლანძღვა-გინება და ვერც განათლების განყოფილების და თემის საბჭოს ზოგიერთ მუშაკზე ზურგს უკან ამოფარება ვერ დაარღვევს. მოქ. ნიქაბაძივ! თუ ძალა შეგწევთ დაარღვიეთ ფაქტები; თქვენ ამ შემთხვევაში საქმე გაქვთ კორესპონდენტთან და არა მათთან *), რომელთაც იმ წერილთან არავითარი კავშირი არა აქვთ.

პლატონიძე.

*) ვადასტურებთ, რომ ჩვენი გაზ. № 25 ში მოთავსებული კორესპონდენცია საუულიის თემიდან არ ეკუთვნის აქ ხსენებულ ჯიბეველიშვილს. **რ ე დ.**

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის თებერვლის 14.

სახელმწიფო დაზღვევის შესახებ ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წ. სექტემბრის 16-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის შესაცვლელად—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სადასაზღვევო საქმის საგრთო ხელმძღვანელობა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში და მეთვალყურეობა და ზედამხედველობა სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მოქმედებისათვის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ რესპუბლიკაში—დაეკისროს ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

2. სახელმწიფო დაზღვევის რწმენებულს და მის მოადგილეს მთლად ამიერკავკასიისათვის და აგრეთვე წარმომადგენლობათა გამგეებს ცალკე რესპუბლიკებისათვის—დაამტკიცებს ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

3. რათა ხელი შეეწყოს სადასაზღვევო საქმის განვითარებას ამიერკავკასიაში და მოწესრიგებულ იქნას დაზღვევის ორგანიზაციების მოქმედება—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან მოეწყობა სადასაზღვევო საქმის საბჭო. საბჭოში შედიან თავმჯდომარე და ორი მუდმივი წევრი, რომელთაც დანიშნავს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი, აგრეთვე მუდმივი თითო წარმომადგენელი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი, სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმენებულის (ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში) სამმართველოსი, სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმენებულის (ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში) სამმართველოსი, აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოებისა, ამიერკავკასიის ცენტროკავშირისა და ორი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოსი.

4. სადასაზღვევო საქმის საბჭოს მოგალეობას შეადგენს:

ა) ზედამძღვანელობა და მეთვალყურეობა სახელმწიფო დაზღვევის ამიერკავკასიის სამმართველოს მოქმედებისათვის და დაზღვევის სხვა ორგანიზაციათა მოქმედებისათვის.

ბ) განხილვა დაზღვევის საგრთო წესებისა, ტარიფისა, პრემიებისა და მათი წესებისა და სხვადასხვა განხრახულებისა მათი სასურველი შეცვლა-დამატების შესახებ.

გ) განხილვა სავალდებულო დაზღვევის ჯგუფისა და ყოველი განხრახულებისა არსებულ ჯგუფათა შეცვლისა და დამატების შესახებ.

დ) განხილვა საკანონმდებლო განხრახულებათა დაზღვევის საქმის სფეროში.

ე) განხილვა საერთო ლონისძიებათა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში პრივენტიული და აღმდგენელობითი დაზღვევის განსაგითარებლად.

ვ) განხილვა იმ სადავო საკითხებისა დაზღვევის საქმეში, რაც ახლიდან ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოსა და დაინტერესებულ ორგანიზაციისა და პირთა შორის, გარდა ისეთი საკითხებისა, რომელიც ექვემდებარება სასამართლო დაწესებულების გადგენლობას.

ზ) განხილვა იმ საკითხებისა, რაც წარმოიზარდნენ იქნება სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სადასაზღვევო საქმის საბჭოსაგან.

5. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მიერ ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული სადასაზღვევო ოპერაციების წმინდა მოგების 20 პროც. გადადებულ იქნეს იმ წინასწარ ლონისძიებათა განხორციელებისათვის, რაც მხარგებულ უნდა იქნეს დაზღვევით გათვალისწინებულ უბედურებათა თავიდან აცილებანად, ხოლო 15 პროც. ჩარიცხეს ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავალში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. პირველი ანარიცხი ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ განაწილდება ცალკე რესპუბლიკათა შორის თანაბრად თვითეულ რესპუბლიკაში შესრულებულ სადასაზღვევო ოპერაციების ფარგლებისა, ხოლო მეორე ანარიცხი შეგა საერთო-ფედერატიულ შემოსავალში.

6. ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა გამოსცეს ხელმეკ ინსტრუქციები და წესები ამა დეკრეტის შეფარდებებისათვის.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის რწმენებულის (ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში) სამმართველოსი, სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმენებულის (ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში) სამმართველოსი, აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოებისა, ამიერკავკასიის ცენტროკავშირისა და ორი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოსი.

4. სადასაზღვევო საქმის საბჭოს მოგალეობას შეადგენს:

ა) ზედამძღვანელობა და მეთვალყურეობა სახელმწიფო დაზღვევის ამიერკავკასიის სამმართველოს მოქმედებისათვის და დაზღვევის სხვა ორგანიზაციათა მოქმედებისათვის.

ბ) განხილვა დაზღვევის საგრთო წესებისა, ტარიფისა, პრემიებისა და მათი წესებისა და სხვადასხვა განხრახულებისა მათი სასურველი შეცვლა-დამატების შესახებ.

გ) განხილვა სავალდებულო დაზღვევის ჯგუფისა და ყოველი განხრახულებისა არსებულ ჯგუფათა შეცვლისა და დამატების შესახებ.

დ) განხილვა საკანონმდებლო განხრახულებათა დაზღვევის საქმის სფეროში.

ე) განხილვა საერთო ლონისძიებათა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში პრევენტიული და აღმდგენელობითი დაზღვევის განსაგითარებლად.

ვ) განხილვა იმ სადავო საკითხებისა დაზღვევის საქმეში, რ